გიორგი გოგსაძე •

ევროპა ნაციონალისტურ-პოპულისტურ გზავნილებში საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში

საქართველოში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას პოზიტიური დამოკიდებულება გააჩნია ევროკავშირის მიმართ (ბროლაძე, 2023). შესაბამისად, პარტიების უმრავლესობა ემხრობა ევროკავშირში გაწევრიანებას, ხოლო ევროპულ და დასავლურ ღირებულებებს ქვეყნისთვის მისაღებად მიიჩნევენ. ამასთან ერთად გვხვდება ევროსკეპტიკური და ანტიდასავლური დამოკიდებულებები, რომლებსაც გარკვეული (მცირე ზომის) პარტიები აჟღერებენ. აღსანიშნავია, რომ ნატოს მიმართ ნაციონალისტურ-პოპულისტური გზავნილების მქონე პარტიებს უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნიათ. მეორეს მხრივ, ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ ხშირად დამოკიდებულებები ორაზროვანია. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია იმის წარმოჩენა, თუ რა დამოკიდებულება გააჩნიათ ნაციონალისტ-პოპულისტურ (გზავნილების მქონე) პარტიებს ევროპის და ევროკავშირის მიმართ? კერძოდ, რა პოზიციები აქვთ მათ ევროკავშირის და ევროპული ფასეულობების მიმართ? ამ მიზნით, შერჩეულ იქნა ნაციონალისტურ-პოპულისტური გზავნილების მქონე პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო საჯარო გამოსვლები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს სატელევიზიო არხებზე.

ვიწრო გაგებით, „პოპულისტური პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკურ ქმედებას ან იდეას, რომელიც რეაგირებს ხალხი/ელიტის განსხვავებაზე (cleavage)“. ედუარდ შილის მიხედვით, პოპულიზმი გულისხმობს ხალხის ნების უზენაესობას და უშუალოდ

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი.

პირდაპირ ურთიერთობას ხალხსა და მთავრობას შორის (Jakobson, 2012, 4-5). პოპულიზმს ძირითადად იყენებენ ნაციონალისტური ან ნატივისტური[1] პოლიტიკური პარტიები/ძალები და ასევე მემარცხენე აქტორებიც.

ქართული მარში მიმართავდა ამომრჩეველს, რომ მათ ქართული საქართველო უნდოდათ. ეროვნული ცნობიერება განასხვავებს ერებს და ქმნიდა იმ მრავალფეროვან სამყაროს, რომელიც ყველას უყვარს. ბრეგაძის თქმით, ჩვენ გვიყვარს ყველა ერი და პატივსცემთ მათ, მაგრამ არ უნდა მომხდარიყო ერებისა და ეროვნებების იდენტობების წაშლა. ის ამატებდა, რომ მას უყვარდა საფრანგეთი მაგრამ უყვარდა ფრანგული კულტურა და საფრანგეთში ფრანგულის სანახავად მიდიოდა და არა არაბულის, აფრიკულის, თუნდაც ნებისმიერი სხვა ერის კულტურის ნაზავი, რომელიც რაღაც მახინჯი წარმონაქმნია, რაც ვერავის გაურკვევია თუ რა არის. გერმანიაშიც თუ ის ვერ ნახავდა გერმანულს რაც მას უყვარდა, მაშინ ეს ის გერმანია არ იქნებოდა, რომელსაც ის იცნობდა. ყველა ეროვნებას აქვს ცხოვრების წესი და გამორჩეული ტრადიციები, რომლებზეც იქმნებოდა მათი სახელმწიფოები (ბრეგაძე, 2020).

საქართველოში ქართველობა არ უნდა წაშლილიყო და საქართველოს მთავარი ღირებულება იყო ქართველი ერი, რომლის ნებაზე იყო დამყარებული ქართული სახელმწიფოებრიობა და არსებობა. საქართველოს მორალის, პოლიტიკის, მრწამსისა და განწყობის ცვლილება მას უმთავრეს ღირებულებას დააკარგვინებდა. სწორედ ქართველების წინააღმდეგ იყო მიმართული, ბინძური გლობალისტების მანქანა. ბრეგაძის თანახმად, მათ უნდა ეჩვენებინათ ქრისტიანული სამყაროსთვის, როგორ უნდა დაემარცხებინათ სიბილწე, გარყვნილება და მოღალატეობა და არ ჩაეტარე-

[1] „ნატივიზმი - ესაა მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების უპირატესი მხარდაჭერის პოლიტიკა იმიგრანტების ინტერესების საწინააღმდეგოდ“ (ნაციონალიზმი: ენციკლოპედიური ცნობარი, 2021, 104). სხვა სიტყვებით, ის შეიძლება აღიწეროს, როგორც „ქსენოფობიური ნაციონალიზმი“.

ბინათ გეი პარადები, რაც ეროვნული ინტერესებისა და მრწამსის დაცვას ნიშნავდა (ბრეგაძე, 2020).

ქართული მარშის ლიდერის მოწოდებებში ხდება ევროპაზე მითითება, მათ შორის, როგორც ტრადიციული და ქრისტიანული სამყაროსი. აღნიშნულია მრავალფეროვნება, თუმცა ამასთან ერთად გამოკვეთილია ნატივისტური გზავნილები. ევროპა წარმოჩენილია მისი ძირითადი ღირებულებების, მრავალფეროვნების, ადამიანის უფლებების და თავისუფალი გადაადგილების გარეშე.

ქართული იდეა ყურადღებას ამახვილებდა, რომ თუ რუსეთს ქვეყნის 20% ჰქონდა ოკუპირებული, მაშინ დასავლეთს, რომელიც იმპერიაა, ოკუპირებული ჰქონდა საქართველოს 80%. ფალავანდიშვილის განცხადებით, ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე საქართველოში დაკანონდა სოდომია და შესაბამისად, ტელევიზიებში, განათლების სისტემაში მიმდინარეობს მისი გავეშებული პროპაგანდა. შვედეთის მთავრობის დახმარებით ბაღებში დაიწყეს ნეიტრალური გენდერის მიმართულების დანერგვა (ფალავანდიშვილი, 2020). ნეგატიურად არის წარმოჩენილი ტოლერანტობა და სკოლებში დანერგილი სექსუალური აღზრდა, რომელიც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდად არის მიჩნეული. კერძოდ, გაეროს ბრალდებოდა, რომ მათი დავალებით სასწავლო ცენტრები ზაფხულის ბანაკებში აგზავნიან ტოლერანტობის ასამაღლებლად ლგბტ აქტივისტებს. აგრეთვე გაერო რომელიც თითქოს ბავშვებზე ზრუნავდა, რაგბის ბურთებს ურიგებდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებს, რომელსაც ყველა გენდერი ეწერა. ნატოს მიმართ პარტიას ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა, რადგან ის რუსეთის გამაღიზიანებელი იყო და ამავდროულად, სამხედროსთან ერთად ღირებულებით ორგანიზაციად მიაჩნდათ, რომელიც ქართველებისთვის მიუღებელი ფასეულობების დაწესებას ითხოვდნენ. ამასთან ქვეყნის სათავეში იყო ოკუპანტ დასავლეთის მეხუთე კოლონა, მისი მორჩილი ხელისუფლება და არასამთავრობო ორგანიზაციები (პირველი არხი, 2020ა). ქართული იდეა გამოირჩეოდა

ანტისეკულარული და მკვეთრად ანტიდასავლური გზავნილებით, მათ შორის, ნატოს, აშშ-ს, გაეროსა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

თეთრები აღნიშნავდნენ, რომ ქვეყანას და მის ელიტას დასავლეთიდან რეალურად სოროსულ-მასონური ძალები მართავდნენ, მათ შორის, აკონტროლებდნენ განათლების სისტემასაც. შაშიაშვილის განცხადებით, მათ სიაში ერთი სოროსელი არ იყო, ვისაც რაიმე ფული ჰქონდა აღებული ივანიშვილისგან, რუსეთისგან თუ რომელიმე სხვა ქვეყნიდან (შაშიაშვილი, 2020). პარტიის ლიდერის თქმით, ჩვენ ქვეყნის გარეთ მეგობრები და არა პატრონები უნდა მოგვეძებნა და 200 წელზე მეტია ჩვენ რეალურ ექსპლუატატორებს ვეძახდით მეგობრებს. ნატოში და ევროკავშირში ვერ გაწევრიანების მიზეზი ამ საკითხის პოლიტიზირებაში იყო (პირველი არხი, 2020ბ). თეთრების პოზიციებში იკვეთება უარყოფითი დამოკიდებულება ლიბერალური ფასეულობების და შესაბამისად დასავლეთის მიმართ (რაც სოროსულ-მასონურ ძალების დადანაშაულებით ჩანს, რომლებიც უცხოელი პატრონების დავალებებს ასრულებდნენ).

თავისუფალი საქართველოს თანახმად, მათ სურდათ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და იმიგრაციის შეზღუდვა. საქართველოში მაგისტრალზე ძირითადად ჩინელი მუშები იყვნენ დასაქმებულნი. „ჩვენ გამოვდივართ ღიად, ისევე როგორც ეს არის ევროპის ბევრ ქვეყანაში, რომ იმიგრაცია უნდა იყოს შეზღუდული, განსაკუთრებით შრომითი იმიგრაცია**,** სამუშაო ადგილი საქართველოში უკიდურესი გამონაკლისების გარდა უნდა იყოს განკუთვნილი საქართველოს მოქალაქეებისთვის და არა მიგრანტი მუშებისთვის“ (კახა კუკავა..., 2020), ეს პრაქტიკა ევროპის ქვეყნებშიც მოქმედებდა. კუკავა (2020) აღნიშნავდა, რომ თუ მისი განცხადება ჩინელებზე ქსენოფობიური იყო, მაშინ, ქსენოფობი ყოფილა ყველა მერკელი, ტრამპი, რომლებიც აწესებენ შეზღუდვებს იმიგრაციაზე. თავისუფალი საქართველო იზიარებდა, ტრამპის შეხედულებებს და მას ქსენოფობიას ვერ დააბრალებდი, იმის გამო, რომ ამერიკულ ქალაქებში ამერიკელი უნდა დასაქმებულიყო და საწარმო მექსიკაში არ უნდა წასულიყო. თავისუფალი საქართველო მსგავს პოლიტიკას

ემხრობოდა საქართველოსთან მიმართებით, რომ საქართველოში უნდა დასაქმდეს ქართველი და არა ჩინელი. საქართველოს მოქალაქე უნდა დავასაქმოთ და არა უცხოელი[2] (კახა კუკავა..., 2020). თავისუფალი საქართველოს გააჩნდა ანტიიმიგრანტული პოზიციები, ამასთან ერთად მიუთითებდა ევროპულ პრაქტიკაზე და რომ მსგავსი პოლიტიკა ტარდება ევროკავშირის ან ევროპულ ქვეყნებში.

პატრიოტთა ალიანსი გამოირჩევა ანტიელიტიზმით, როგორც არსებული ხელისუფლების ასევე ყოფილი მმართველი პარტიის მიმართ. პარტია ნატივისტურ შეხედულებებს აჟღერებს (რასაც თვითონ ანტილიბერალურ რიტორიკად მოიხსენიებენ) (სამხარაძე, 2021). 2020 წელს პარტია ემხრობოდა ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა მის პოზიტივებზე თითქმის არ საუბრობდა და ძირითადად „სამხედრო მიუმხრომლობის“ იდეაზე ამახვილებდა ყურადღებას (პერტაია, 2020).[3] მიუხედავად იმისა, რომ პარტია ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერდა, მისი წევრებისგან ამ ორგანიზაციის მიმართ ნეგატიურ განცხადებებსაც ვხვდებოდით. პარტიის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი თავისი არსით უძველესი ქრისტიანული ქართველი ერის დისკრიმინაცია გახლდათ, რომლის მიღებითაც დაგვამცირეს და ეს არის ჩვენ საქმეებში ჩარევა. ევროკავშირი ჩვენი დროის რობოტული იმპერია იყო, რომელიც საქართველოსნაირ პატარა ქვეყნებზე დემოკ-

[2] უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი საქართველო ევროპულ მაგალითებს ასევე იყენებდა მრავალშვილიანი ოჯახების მხარაჭერის მიზნით და ე.წ „უნგრული კანონის“ შემოღებას ითხოვდა. პენსიებთან დაკავშირებით პარტია სთავაზობდა ამომრჩეველს ევროპული პრაქტიკის გამოყენებას, რომ პენსია უნდა განსაზღვრულიყო როგორც პარლამენტარის (ან ნებისმიერი მაღალჩინოსნის) 10%-ით. პარლამენტარის ხელფასის მომატებასთან ერთად, ავტომატურად უნდა გაზრდილიყო პენსია (კახა კუკავა..., 2020).

[3] აღსანიშნავია, რომ პარტიის წევრი თევდორაძის თანახმად, უნდა დასრულებულიყო მოჩვენებითი ევროპულობა და ქვეყანას რეალური ნაბიჯები უნდა გადაედგა ევროკავშირში გასაწევრიანებლად (გოჩა თევდორაძე..., 2020).

რატიის სახელით ძალადობდა, რადგან მისი თქმით, საქართველოში არავინ არასოდეს დაუჩაგრავთ (ვაჟა ოთარაშვილი..., 2020).

მშრომელთა სოციალისტური პარტია ნატივისტური პოზიციებით არ გამოირჩეოდა, თუმცა პარტია არ ემხრობოდა ნატოში გაწევრიანებას, რადგან მას საფრთხის შემცვლელად აღიქვამდა. ევროკავშირთან დაახლოება ეკონომიკურად არამომგებიანად მიაჩნდათ, რადგან რუსეთის ბაზარი უფრო ახლოს იყო საქართველოსთან ტერიტირიულად, ვიდრე ევროპის. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღდგენისთვის საჭირო იყო რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და ძველი მეგობრული კავშირის აღდგენა. ამ პარტიას გააჩნდა ნეგატიური დამოკიდებულება მსოფლიო ბანკის და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისადმი, რადგან ბანკირებს (და უცხოელებს), საქართველო მოსამსახურე სფეროდ უნდოდათ თავისი გაფუჭებული საქონლის გასასაღებლად. ქართული წარმოების აღდგენის შემთხვევაში ბანკირები არ მოინდომებდნენ რადგან ამ შემთხვევაში საქართველო აღარ აიღებდა მათგან სესხებს[4].

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ზოგიერთი პარტია (მაგ., ქართული იდეა და თეთრები), ნეგატიური დამოკიდებულებით გამოირჩევიან ევროკავშირის და დასავლეთის მიმართ, ხშირად ევროკავშირი/ევროპა ლიბერალურ ღირებულებებთან არის გაიგივებული; მსგავს მოწოდებებში გვხვდება ლგბტ უფლებების კრიტიკა (ხოლო ხელისუფლება მასონური-სოროსული ან გლობალისტურია, რომელიც დასავლეთის მითითებებს ასრულებს). კერძოდ, პატრიოტთა ალიანსი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების გამო, აკრიტიკებდა ევროკავშირს, თუმცა პარტია ოფიციალურად ემხრობა ევროკავშირში გაწევრიანებას, რაც იმით აიხსნება, რომ ევროკავშირში გაწევრიანებას დიდი მხარდაჭერა აქვს და პარტიას არ სურს ერთმნიშვნელოვნად არაპოპულა-

[4] აღნიშნული მოწოდება ჰგავს ევროპაში მემარცხენე პოპულისტური პარტიების ძირითად გზავნილებს, რომელიც დიდი ევროპული ბანკების და ფინანსური ელიტის წინააღმდეგ არის მიმართული.

რული პოზიციის დაკავება. ასევე ვხვდებით ეკონომიკურ არგუმენ-ტებს, რომ ევროპული ბაზარი საქართველოსთვის ტერიტორი-ულად უფრო შორს არის და არ იქნება მომგებიანი რუსულთან შე-დარებით. გარკვეულ შემთხვევებში პოლიტიკური პარტიები ემხ-რობიან ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა გამოირჩევიან ანტი-იმიგრანტული პოზიციებით (მაგ,. თავისუფალი საქართველო, ქარ-თული მარში), რაც გამართლებულია ევროკავშირსა და ევროპულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკით. ნაციონალისტურ-პოპულისტურ გზავნილებში ხდება ევროპულ მაგალითებზე და გამოცდილებაზე მითითება, რაც ერთგვარ ლეგიტიმაციას სძენს მათ არგუმენტებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბრეგაძე, ს. (2020. ოქტ, 16). „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“. მარში ტვ. მოპოვებული 25 ნოემ. 2020: https://www.facebook.com/670312456723111/videos/644257556286721

ბროლაძე, ა. *IRI-ის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა შორის ევროკავშირში გაწევრიანებას 73%-იანი მხარდაჭერა აქვს, მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობს, რომ ქვეყანა პროდასავლური უნდა იყოს.* პირველი არხი. 16 ნოემ. 2023. https://1tv.ge/news/iri-is-kvlevis-tanakhmad-gamokitkhulta-shoris-evrokavshirshi-gawevrianebas-73-iani-mkhardachera-aqvs-mosakhleobis-umetesoba-fiqrobs-rom-qveyana-pro-dasavluri-unda-iyos/

ნაციონალიზმი: ენციკლოპედიური ცნობარი. (2021). შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი.

პერტაია, ლ. რას პირდება ამომრჩეველს „პატრიოტთა ალიანსი“. არჩევნები 2020. 30, ოქტ. 2020. ნეტგაზეთი. მოპოვებული 15 მაისი 2024: https://netgazeti.ge/news/493178/

პირველი არხი. დებატები. 2020(ა). ოქტ, 20. არჩევნები 2020. (ვიდეო). YouTube. მოპოვებული 10 მაისი 2022: https://www.youtube.com/watch?v=zwnmyTrQeiI

პირველი არხი. დებატები. 2020(ბ). ოქტ, 27. არჩევნები 2020. (ვიდეო). YouTube. მოპოვებული 10 მაისი 2022: https://www.youtube.com/watch?v=lYuTARPN5bU

სამხარაძე, ნ. *„რიტორიკასა და მოქმედებას შორის: მემარჯვენე პოპულიზმი საქართველოს საპარლამენტო ცხოვრებაში“,* პოლიტიკის მემორანდუმი #43. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. მარტი, 2021. https://tinyurl.com/28hy7rbh

ვაჟა ოთარაშვილი: ესენი არიან ნაციონალურ რეჟიმთან შეჯვარებული პოლიტიკური მუტანტები, რომელთათვისაც არის სამი თუ ოთხი არა: არა რწმენას, არა სამშობლოს, არა ეროვნებას, არა სქესს. საქართველო და მსოფლიო. 23 სექტ, 2020. მოპოვებული 15 მაისი 2024 https://tinyurl.com/yv3u33jm

გოჩა თევდორაძე „ღამის სტუდიაში“ - ილია ჩაჩიბაიასთან. (2020, 23 სექტ). საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. ტვ ობიექტივი. მოპოვებული 15 მაისი 2024 https://www.youtube.com/watch?v=7cP3j943gFE

ფალავანდიშვილი, გ. რიყეზე გამართული „ქართულ იდეის“ პრეზენტაცია. *დიდ ხარ შენ უფალო.* 16 ოქტ. 2020. მოპოვებული 8 დეკემბერი 2020. https://www.facebook.com/Church.Georgia/posts/2736375213290906

შაშიაშვილი, თ. 2020(ა). ოქტ, 28. (რადიო ეთერი). საქართველოს რადიო. მოპოვებული 21 მაისი 2022: https://1tv.ge/audio/archevnebi-2020-saarchevno-programebi-tetrebi-1/

კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო - საქართველო ირჩევს. (2020, ოქტ, 19). (ვიდეო). [Formula News]. YouTube. მოპოვებული 21 მაისი 2023 https://www.youtube.com/watch?v=nmXeLF9h4Lw

Jakobson, M.-L. (2012, November). Populism in the Baltic States. *Open Estonia Foundation, Tallinn University*.

George Gogsadze

Europe in National-Populist Messages of 2020 Parliamentary Elections of Georgia

Abstract

EU integration enjoys high support from Georgian population. Consequently, the majority of political parties are in favor of joining the European Union, and they consider European and Western values acceptable for the country. Although there are Eurosceptic and anti-Western attitudes voiced by certain (small) parties. This article aims to present the attitude towards European values and the EU of political parties that employ nationalist-populist messages?

These forces typically, equate the EU/Europe with liberal values; national-populists such as Georgian Idea and "Whites" blame the EU (or the West) for imposing LGBT rights on Georgia and claim that the government is Masonic or globalist, which follows the instructions of the West. In other cases, attitude towards the EU is ambiguous. Georgian Alliance of Patriots supports joining the EU, however also criticizes them for "Antidiscrimination Law" which they believe was forced on Georgia to adopt. Free Georgia shares anti-immigrant positions, which it justifies by claiming that such practice is common in EU or European nations. Georgian March who also has anti-immigrant positions and refers to Europe as the traditional and Christian world. Even though they claim that they respect diversity, they have nativist messages and want Georgian Georgia. The party presents Europe without its core values such as diversity and human rights.

Due to the high support of EU most of the nationalist-populist actors refer to European examples and practice, which adds certain legitimacy to their arguments.